

აზიის განვითარების ბანკის ანგარიშვალდებულების მექანიზმის
საკონსულტაციო ფაზის საინფორმაციო სახელმძღვანელო



„ჩვენ ვუსმენთ ადამიანებს და თემებს, რომლებსაც ზიანი მიაყენა აზიის
განვითარების ბანკის მხარდაჭერით განხორციელებულმა პროექტმა“

ADB

Asian Development Bank

@ 2009 აზიის განვითარების ბანკი
წარმოდგენილ ბროშურაში ასახული მოსაზრებები
ეკუთვნის ავტორებს და შესაძლოა, არ ემთხვეოდეს აზიის
განვითარების ბანკის ან მმართველთა საბჭოს ან იმ
მთავრობის მოსაზრებებსა და პრინციპებს, რომლებსაც
ისინი წარმოადგენენ.

აზიის განვითარების ბანკი არ იძლევა გარანტიას, რომ
დოკუმენტში წარმოდგენილი მონაცემები ზუსტია და არ
იღებს პასუხისმგებლობას იმ შედეგებზე, რასაც მათი
გამოყენება გამოიწვევს.

ჩვენ ზიანი მოგვაცენა აზიის განვითარების ბანკის მხარდაჭერით განხორციელებულმა პროექტმა. არ ვიცოდით, რომ ეს განადგურებდა ჩვენს ფერებს, მოსპობდა ჩვენი ცხოვრების წყაროს, ჩვენს კულტურას, გარემოს. რა უნდა გავაკეთოთ?"



პირველ რიგში, განიხილეთ თქვენი პრობლემა პროექტის პერსონალთან. თუ მათი პასუხი ვერ დაგაკმაყოფილებთ, უნდა მიმართოთ:

პროექტის სპეციალური ფასილიტატორის ოფისი

აზიის განვითარების ბანკი
ფილიპინები, მეტრო მანილა
მანდალუიონგ სიტი 1550, ADB მე-6 გამზირი
ტელ: (+632) 632-4825
ფაქსი: (+632) 636-2490
ელექტრონული ფოსტა: spf@adb.org
ვებ გვერდი: www.adb.org/spf



თქვენი თემის სულ მცირე ორ წარმომადგენელს შეუძლია საჩივრის წერილის დაწერა.


შესაძლებელია, რომ ადგილობრივმა ორგანიზაციამ, ასოციაციამ ან თემის წარმომადგენელმა ჯგუფმა შემოიტანოს საჩივარი.

შესაძლოა ადამიანთა ჯგუფისათვის იოლი იყოს წარმომადგენლის დანიშვნა, რომელსაც შეუძლია მათი სათანადოდ წარმოდგენა.

- ჩვენ, პროექტის სპეციალური ფასილიტატორის ოფისში მზად ვართ მოვუხმინოთ თქვენს საჩივრებს, რათა ვიპოვოთ პრობლემების გადაჭრის რაციონალური გზები.
- ჩვენ ვუზრუნველყოფთ დამოუკიდებელ ფორუმს იმ ადამიანებისა და თემებისათვის, რომლებსაც ზიანი მიაყენა აზიის განვითარების ბანკის მიერ მხარდაჭერით განხორციელებულმა პროექტმა.
- ჩვენ წარვმართავთ საკონსულტაციო ფაზას, რომელიც მოიცავს ღონისძიებათა ერთობლიობას და დიალოგს დაზარალებულ მხარეებთან, რათა მივაღწოთ პრობლემის რაციონალურად გადაჭრას.



იმ შემთხვევაში, თუ ადგილობრივ დონეზე არის განმახორციელებელი სააგენტო, თქვენი საჩივრით პირველ რიგში უნდა მიმართოთ



გახსოვდეთ

პროექტის სპეციალური ფასილიტატორის ოფისის საჩივრით მიმართვამდე, თქვენი პრობლემა განიხილეთ განმახორციელებელი/ადმასრულებელი სააგენტოს პროექტის პერსონალთან, რომლებიც ჩართული არიან ამ პროექტში, და აზიის განვითარების ბანკის ოპერაციული განყოფილების პროექტის ოფიცერთან:

დაასაბუთეთ და თან დაურთეთ კორესპონდენცია, შეხვედრის დეტალები, ელექტრონული ფოსტით გაგზავნილი და მიღებული წერილები და სხვა კომუნიკაციის საშუალებებით მიღებული და გაგზავნილი შეტყობინებები.

რა უნდა მოვამზადოთ და განვიხილოთ მანამდე, სანამ გადაწყვეტთ პროექტის სპეციალური ფასილიტატორის ოფისისადმი საჩივრის წერილის დაწერას?

ჩვენ გვსურს თქვენს საჩივარზე რაც შეიძლება ეფექტური რეაგირება მოვახდინოთ. ამისათვის დარწმუნდით, რომ:

პროექტის სპეციალური ფასილიტატორის ოფისის საჩივრით მიმართვამდე, პრობლემა განიხილეთ აღმასრულებელი/განმახორციელებელი სააგენტოს პროექტის პერსონალთან, რომლებიც ამ პროექტში არიან ჩართული, და აზიის განვითარების ბანკის ოპერაციების განყოფილების პროექტის ოფიცერთან.

ესაუბრეთ თქვენი ჯგუფის წევრებს, მეზობლებს, თემის წარმომადგენლებს. სათანადოდ შეაფასეთ სიტუაცია და განსაზღვრეთ, თქვენი პრობლემა გამოწვეულია თუ არა აზიის განვითარების ბანკის მხარდაჭერით განხორციელებული პროექტით.



მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, თუ რამდენი ადამიანი დაზარალდა და რა კუთხით მოგადგათ ეს ზარალი.

დეტალურად გადმოეცით იმ ზარალის ფაქტობრივი და დასაბუთებული აღწერილობა, რომელიც თქვენ მოგადგათ. აქ შეიძლება მოიყვანოთ ის უარყოფითი შედეგები, რაც მან გამოიწვია თქვენს ყოფაზე, გარემოზე ან თემზე.

მიუთითეთ თქვენი ჯგუფის ან მომჩივანის სახელი.

თუ გადაწყვეტთ, რომ ვიღაც იქნება თქვენი წარმომადგენელი, მაგ. არასამთავრობო ორგანიზაცია, ადგილობრივი ლიდერი, ა.შ., აუცილებლად გადაეცით მას რწმუნებულობის წერილი.

მიუთითეთ მომჩივანის ან უფლებამოსილი წარმომადგენლის სახელი და გვარი, საკონტაქტო მისამართი და სხვა სათანადო ინფორმაცია.

აღნიშნეთ აზიის განვითარების ბანკის მხარდაჭერით განხორციელებული პროექტის სახელი და მდებარეობა, რომელმაც მოგაყენათ ზარალი



თუ გადაწყვეტთ, რომ თქვენი ვინაობა კონფიდენციალურად უნდა დარჩეს, მიუთითეთ ეს თქვენს წერილში. გარწმუნებთ, რომ კონფიდენციალურობა დაცული იქნება.

შეთანხმდით თქვენს ჯგუფთან/თემთან მასზე, თუ რა შედეგს ელოდებით აზიის განვითარების ბანკიდან.

საჩივრის წერილი დაწერეთ ინგლისურ ან თქვენს მშობლიურ ენაზე.

საჩივრის წერილის ნიმუში

თარიღი:

პროექტის სპეციალური ფასილიტატორის ოფისი
აზიის განვითარების ბანკი
ფილიპინები, მეტრო მანილა
მანდალუიონგ სიტი 1550, ADB მე-6 გამზირი
ტელ: (632) 632-632-4825
ფაქსი: (632) 636-2490
ელ-ფოსტა: spf@adb.org



ბატონო პროექტის სპეციალური ასილიტატორო,

ჩვენ, [*(თქვენი ორგანიზაციის სახელი)* ან *თქვენი ორგანიზაციის უფლებამოსილი წარმომადგენლის სახელი და გვარი*], რომელთა სახელები, გვარები და მისამართები თანდართულია, ვცხოვრობთ [*ადგილმდებარეობა და ქვეყანა*].

ჩვენ წარუდგენთ ამ საჩივარს პროექტის სპეციალურ ფასილიტატორს. [*თუ საჩივარი შედგენილია წარმომადგენლის მიერ, გთხოვთ მიუთითეთ პროგრამით დაზარალებულ ადამიანთა სახელები და გვარები, მათი მისამართები და წარმომადგენელთა მათი წარმომადგენლობის უფლებამოსილების დამადასტურებელი საბუთი*].

ჩვენ გვაქვს პრობლემები, რაც გამოწვეულია აზიის განვითარების ბანკის მხარდაჭერით განხორციელებული პროექტის მიერ [*დააკონკრეტეთ პროექტის სახელწოდება და აღწერილობა და მიუთითეთ ადგილმდებარეობა და ქვეყანა, სადაც ხორციელდება პროექტი*].

პირდაპირი ზიანი, რაც ჩვენ მოგვადგა: [*აღწერეთ პრობლემა*]

ჩვენი მოლოდინი პროექტის სპეციალური ფასილიტატორის მიერ გაწეულ დახმარებასთან დაკავშირებით: [*აღწერეთ ის, რა გინდათ რომ მოხდეს, როგორ შეიძლება პრობლემის გადაჭრა*].

მანამდე ჩვენი პრობლემით მივმართეთ აღმასრულებელ/განმახორციელებელ სააგენტოს და აზიის განვითარების ბანკის ოპერაციების განყოფილებას: [*ჩამოთვალეთ და თანდაურთეთ კორესპონდენცია, შეხვედრების დეტალები, ელ-ფოსტით და სხვა საკომუნიკაციო საშუალებებით გაგზავნილი და მიღებული წერილები და შეტყობინებები*].

5. არ მოვითხოვთ, რომ ჩვენი ვინაობა კონფიდენციალური დარჩეს
[ან]

მოვითხოვთ, რომ ჩვენი ვინაობა კონფიდენციალური დარჩეს ამ მიზეზით: [*დაასახელოთ მიზეზი*]

6. ჩვენთან დაკავშირება შესაძლებელია: [*დააკონკრეტეთ დირექტივები, თუ როგორ არის შესაძლებელი თქვენთან და/ან თქვენს უფლებამოსილ წარმომადგენელთან შეხვედრა*].

ხელმოწერა:

სახელები და გვარები:

მისამართები:

სხვა საკონტაქტო ინფორმაცია:

ტელ.:

ფაქსი:

ელ-ფოსტა:

დანართები: (მომჩივანებისა და მისამართების სრული ჩამონათვალი, წარმომადგენლის რწმუნებულობის წერილი, ასეთის არსებობის შემთხვევაში)

ზოგიერთი საკითხი, რომელსაც საჩივარში/ მოთხოვნაში ვერ შეეხებით
თაღლითობისა და კორუფციის ფაქტების განცხადება
საქონლის, მომსახურების და საკონსულტაციო მომსახურების შესყიდვა
პროექტები პროექტის დასრულების ანგარიშით აზიის განვითარების ბანკის პერსონალთან დაკავშირებული



„რა მოხდება, როდესაც პროექტის სპეციალური ფასილიტატორის ოფისი მიიღებს ჩვენი საჩივრის წერილს“

თქვენი წერილის მიღებიდან (7) დღის განმავლობაში რეგისტრაციაში გავატარებთ საჩივარს და გამოგიგზავნით დადასტურების წერილს.



21 დღის განმავლობაში განვსაზღვრავთ, თუ რამდენად ექვემდებარება დაკმაყოფილებას საჩივარი.

კეთილსინდისიერად დავადასტურებთ თქვენს ძალისხმევას, რომ პრობლემით მიმართეთ აზიის განვითარების ბანკის ოპერაციების განყოფილებას და აღმასრულებელ/განმახორციელებელ სააგენტოს.

ჩვენ შევისწავლით წარმოდგენილ დოკუმენტს და გავაანალიზებთ საჩივარში წარმოდგენილ საკითხებს.



ჩვენ შეიძლება შეგხვდეთ და განვიხილოთ საჩივარი თქვენთან და სხვა დაზარალებულ მხარეებთან.

როდესაც განვსაზღვრავთ, რომ საჩივარი ექვემდებარება დაკმაყოფილებას, კვლავ მოვალთ და ისევ განვიხილავთ და შევაფასებთ. ეს დაგვეხმარება განვსაზღვროთ პრობლემის ბუნება, ჩართული მხარეები, შექმნილი მდგომარეობის გამოსწორების საშუალებები, რომლებსაც თქვენ ეძებთ და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, რა ღონისძიება უნდა გატარდეს პრობლემის გადასაჭრელად.

თქვენი საჩივრის მიღებიდან დაახლოებით 49 კალენდარული დღე ჭირდება განხილვას და შეფასების გაკეთებას. თუ საკითხი რთულია, შესაძლებელია უფრო დიდი დრო დასჭირდეს. ამას თქვენთან განვიხილავთ.

განხილვის და შეფასების დასრულებისას თქვენ და თქვენს წარმომადგენელს გამოგიგზავნით ჩვენს დასკვნებსა და რეკომენდაციებს.

როდესაც ამ დასკვნებსა და რეკომენდაციებს მიიღებთ, განიხილეთ ისინი თქვენს ჯგუფთან ერთად.

ჩამოწერეთ თქვენი კომენტარები და რეკომენდაციები.

„როდის დასრულდება კონსულტაციის პროცესი?“

ჩვენ გავაგრძელებთ კონსულტაციის პროცესს მანამდე, სანამ ყველა მხარე არ შეთანხმდება კონსულტაციის პროცესის შეწყვეტაზე.

თუ გაქვთ სერიოზული პრობლემები შესაბამისობასთან დაკავშირებით, შეგიძლიათ საჩივრით მიმართოთ შესაბამისობის განხილვის ექსპერტთა ჯგუფს. წერილი გაგზავნეთ ამ მისამართზე



მდივანი
შესაბამისობის განხილვის
ექსპერტთა ჯგუფი
აზიის განვითარების ბანკი
ტელ: (+632) 632-4149 or

აზიის განვითარების ბანკისა და მისი


აზიის განვითარების ბანკი არის ფინანსური ინსტიტუტი, რომლის მისიაა დაეხმაროს მის წევრ ქვეყნებს სიღარიბის დაძლევისა და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებაში. აზიის განვითარების ბანკი აგრეთვე უზრუნველყოფს პოლიტიკასთან დაკავშირებულ დიალოგს, სესხებსა და ტექნიკურ დახმარებას.

იმისათვის, რომ აზიის განვითარების ბანკის მიერ თავის წევრ/პარტნიორ ქვეყნებისათვის დახმარების გაწევის პროცესი სათანადოდ წარიმართოს და გადაიჭრას იმ ადამიანთა საჩივრები, რომელზეც პროექტმა უარყოფითი გავლენა მოახდინა, აზიის განვითარების ბანკმა დააარსა ანგარიშგების მექანიზმი.

„ანგარიშგების მექანიზმს“ აქვს ორი ოფისი:

პროექტის სპეციალური ფასილიტატორის ოფისს აკისრია პრობლემის გადამჭრელის როლი და უძღვება საკონსულტაციო ფაზას.

აზიის განვითარების ბანკის ანგარიშვალდებულების მექანიზმის საკონსულტაციო ფაზა



მოქმედებაზე ორიენტირებული დიალოგი, რომლის მიზანია პროექტის მიერ დაზარალებულ ადამიანთა საჩივრების მოგვარება.